საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

N 1351-02
24/06/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამართლის სკოლაში ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-4 პუნქტის, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების”, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 მარტის №16 და 2016 წლის 23 ივნისის №19 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2016 წლის 24 ივნისს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამართლის სკოლაში ასოცირებული პროფესორის** 3 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი, კერძოდ:

ა) **საჯარო სამართლის მიმართულებით** ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე არჩეული იქნან **ვახტანგ მენაბდე და თამთა მიქელაძე.**

ბ) **კერძო სამართლის მიმართულებით** ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე არჩეული იქნა **ივანე გოგელია.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, სამართლის სკოლა.

3.უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს, საინფორმციო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი